

N 30/09-2019 ქ. თბილისი

30.09.2019წელი


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების

და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 2016 წ. 8 ივნისის N5386-III სკანონის მოთხოვნების თანახმად ვებგვერდზე “reportal.ge” გამოსაქვეყნებლად წარმოგიდგენთ შპს „საქცივპროდუქტი“-ს (ს/კ402034008) 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „საქცივპროდუქტი“-ს აღნიშნული კანონით დადგენილი პარამეტრების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, და ამავე კანონის თანახმად აღნიშნულ ანგარიშგებას წარადგენს „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs)“ ნორმების გათვალისწინებით.

დირექტორი:



ირაკლი დვალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „საქცივპროდუქტი“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „საქცივპროდუქტი“-ს „ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. შესავალი

ორგანიზაცია და მისი ოპერაციები

შპს „საქცივპროდუქტი“-ს დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2016 წლის 25 მაისს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 402034008;

ორგანიზაციის 100%-იანი მფლობელი არის ფიზიკური პირი ელგუჯა გოცირიძე

კომპანიის დირექტორია ირაკლი დვალი

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული სამაცივრე სასაწყობე ფართების გაქირავებას ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე;

შპს „საქცივპროდუქტი“-ს შრომითი პერსონალი შედგება 14 ადამიანისაგან, კომპანიაში დაცულია და ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, თევდორე-მღვდლის ქუჩა #27;

რეგისტრირებული მისამართი თბილისი, ქ. თბილისი, თევდორე-მღვდლის ქუჩა #27;

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) მიხედვით, რომელიც

გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

საწარმო იყენებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ორისს“.

3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ორგანიზაციის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

2018 წლის 31 2017 წლის 31

	დეკემბერი	დეკემბერი
1 დოლარი (\$)/ლარი (GEL)	2.6766	2.5922
1 ევრო (\$)/ლარი (GEL)	3.0701	3.1044

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში (ლარი) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო და სალაროს ანგარიშებზე გათავსებული ნაშთებისგან.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულება გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეთესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას როდესაც აქტივები გამოსყიდულია, აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადების მოთხოვნა აღარ არსებობს. კომპანიამ გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც

ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

5. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასიცოცხლო პერიოდი

შენობა ნაგებობები 20– 30წელი

მანქანა დანადგარები 7-10 წელი

ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა 5 – 7წელი

ძირითადი საშუალებები

	ძირითადი საშუალებები	ჯამი
	საწყისი ნარჩენი ღირებულება	6819045
2018 წელი	დამატებული (შემცირებული) ძირ.საშ-ის ღირ-ბა 2018 წ	59827
	ცვეთა	-125530
	ნარჩენი ღირებულება 31.12.2018	6798309

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არ გააჩნია

7. საინვესტიციო ქონება

-კომპანიას გააჩნია მიწა (ღირებულებით 5224738 ლარი) და შენობა-ნაგებობა.

შპს „საქცივპროდუქტი“-ს თავის საქმიანობას საკუთარ ტერიტორიაზე.

-კომპანიას არ გააჩნია იჯარა,რომელიც კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, რადგან იგი (ფინანსური იჯარა) ითვლისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები კომპანიას გააჩნია შეძენილი სხვადასხვა სარემონტო მასალების სახით, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან.

კომპანიის კუთვნილი სასაქონლო მატერიალური მარაგები ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე შედგება სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალებისაგან, რომლებიც არაა მალფუჭებადი და ამ მიზეზით მათი ჩამოწერის პრობლემა კომპანიას არ გააჩნია.

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები 2018 წლის 31 დეკემბერს შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

ლარში	31/12/2018
მზა პროდუქცია	0
სამშ. სარემონტო მასალები	160004
დაუმთავრებელიწარმოება	0
საქონელი	0

სხვა მარაგები	0
სულ მარაგები	160004

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ეს არის მოკლევადიანი მოთხოვნები ორგანიზაციებთან, რომელიც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მომსახურების მიწოდებიდან	61707
მოთხოვნები მომსახურებიდან	0
სულ მოთხოვნები	43898

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსავალი ან/და ზარალი კი აისახება შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი 2018
საქონლის, მომსახურების მოწოდ. წარმოქმნილი ვალდებულებები	32136
არარეზიდენტი მომწოდებლები (საქონელი)	

არარეზიდენტი მომწოდებლები(მომსახურება)	
სხვა ვალდებულებები	9550
გადასახდელი პროცენტები	
სულ	41686

11. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ამონაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

მომსახურების გაწევიდან		356314
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		21524
სხვა		
ჯამი		377838

12. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში რომელშიც იქნა გაწეული.

13. მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადახდილი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახადელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე პერიოდის დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია:


- ა) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- ბ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- გ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის მაისში დამფუძნებელთა კრებამ განიხილა 2018 წლის სამეურნეო წლის აქ წარმოდგენილი შედეგები და დაამტკიცა ისინი.

დირექტორი:



/ირაკლი დვალი/

ბუღალტერი:



/გელა სიორდია/

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა


	31.12.2018	31.12.2017
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფულადი სახსრები	44,307	49,558
სავაჭრო მოთხოვნები	61,707	48,303
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		2,183
მარაგები		
- მზა პროდუქცია		
- სხვა	160,003	167,918
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
ძირითადი საშუალებები		
- მიწა	5,224,738	5,224,738
- შენობა-ნაგებობები	932,841	931,251
- სხვა ძირითადი საშუალებები	374,712	395,092
- არამატერიალური აქტივები		
- საიჯარო აქტივი საკუთრების გადაცემის პირობით		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
სულ აქტივები	6,798,309	6,819,045
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	32,136	101,431
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9,550	
საგადასახადო ვალდებულებები	(2,044)	(99,195)
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი		
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		110,000
ბანკებისგან ნასესხები თანხები		

სხვა ნასესხები თანხები	6,633,925	6,633,925
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	6,673,567	6,746,161
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	100	100
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
წილობრივი გადახდის რეზერვი		
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი		
ბიოლოგიური აქტივების გადაფასების რეზერვი		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	124,642	72,784
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	124,742	72,884
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,798,308	6,819,045

0

TRUE

დირექტორი:



/ი. დვალი/

ბუღალტერი:



/გ.სიორდია/

შპს "საქცივპროდუქტი"

ს/კ 402034008

ფორმა N6- შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	31.12.2018	31.12.2017
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	377,838	381,686
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწვიდან	356,314	381,686
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	21,524	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საწყისი მარაგები	167,918	157,951

მარაგების შესყიდვა	50,060	9,767
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	160,004	167,918
საერთო მოგება	435,812	381,486
სხვა შემოსავალი		-
დასაქმებულთა ანაზღაურება	151,290	134,435
ცვეთა/ამორტიზაცია	89,069	36,461
გაუფასურების ხარჯი	-	-
ფინანსური აქტივების გაუფასურება		
მარაგების გაუფასურება		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება		
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	9,900	5,362
სხვა ხარჯები	133,695	142,769
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	51,858	62,459
მოგების გადასახადი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	51,858	62,459
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	72,784	10,325
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა		
გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა		
ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	124,642	72,784

დირექტორი:



/ი. დვალი/

ბუღალტერი:



/გ.სიორდია/